

სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დამატებითი დაფარვის

პირობები - TR-OUTSIDE-18/04

წინამდებარე დაზღვევის დამატებითი პირობები ძალაშია სამოგზაურო დაზღვევის პოლისთან ერთად. წინამდებარე პირობები, სამოგზაურო დაზღვევის პოლისთან ერთად შეადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას/ხელშეკრულებას მხარეთა შორის.

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.2. **მზღვეველი, დამზღვევი და დაზღვეული** - სამოგზაურო დაზღვევის პოლისში (ძირითად პოლისში) და წინამდებარე პირობების საფუძველზე გაცემული სამოგზაურო დაზღვევის დამატებითი დაფარვის პოლისში (დამატებით პოლისში) მითითებული პირი.

1.3. **ოჯახის წევრი** - დაზღვეულის მეუღლე და შვილები.

1.4. **მოსარგებლე** - დაზღვეული ან დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები - დაზღვეულის მემკვიდრე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

1.5. **დამატებითი პოლისი/პოლისი** - წინამდებარე პირობების საფუძველზე მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი - სამოგზაურო დაზღვევის დამატებითი დაფარვის პოლისი. ამასთან თუ პოლისში დაფიქსირებული მონაცემები და ამ პირობებში განსაზღვრული დებულებები წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან უპირატესი ძალა ენიჭება ძირითად პოლისს.

მზღვეველი გაცემს:

ა) სამოგზაურო დაზღვევის პოლისს (შემდგომში „ძირითადი პოლისი“) და ბ) დამზღვევის მიერ შერჩეული სადაზღვევო პროგრამის და ამ პირობების საფუძველზე სამოგზაურო დაზღვევის დამატებითი დაფარვის პოლისს (შემდგომში „დამატებითი პოლისი/პოლისი“) დამატებითი დაფარვისათვის მოგზაურობის ყოველ ჯერზე გაიცემა ახალი დამატებითი პოლისი.

1.6. **სადაზღვევო შემთხვევა** - შემთხვევა, რომლის მოხდენაც წინამდებარე პირობების თანახმად წარმოშობს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებას.

1.7. **სადაზღვევო პერიოდი** - პოლისში მითითებული დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია.

1.8. **პოლისის მოქმედების პერიოდი** - დაზღვევა ძალაში შედის პოლისში, დაზღვევის პერიოდის დასაწყისად განსაზღვრული დღის 00:00 საათზე და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე. მაქსიმალური დღეების ლიმიტი ერთ პოლისზე 730 (შვიდას ოცდაათი) დღე.

1.9. **სადაზღვევო პრემია** - პოლისში მითითებული, დამზღვევის მიერ გადასახდელი თანხა, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ გასაწევი სადაზღვევო მომსახურების საფასურს.

1.10. **განცხადებული პრეტენზია** - მზღვეველისათვის წინასწარ განსაზღვრული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა დაზღვეულის მიერ მიღებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

1.11. **სადაზღვევო თანხა** - ერთ პოლისზე ჯამურად ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა მიუხედავად შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მოცულობისა.

1.12. **სადაზღვევო ლიმიტი/ქველიმიტი** - პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მომსახურების მაქსიმალურ შესაძლო სადაზღვევო ანაზღაურებას და რომლის ოდენობაც, ასევე დამოკიდებულია დამზღვევის მიერ ძირითადი პოლისით არჩეულ ვალუტაზე.

1.13. **სადაზღვევო ანაზღაურება** - განცხადებული პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში მზღვეველის მიერ შესაბამისი ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა, რომელიც განისაზღვრება დამზღვევის მიერ ძირითადი პოლისით არჩეული ვალუტით.

1.14. **ფრანშიზა** - ზარალის თანხის ნაწილი, რომელიც ყოველი ახალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უპირობოდ არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას.

2. ზოგადი პირობები

2.1. წინამდებარე პირობები წარმოადგენს შეთანხმებას დამზღვევსა და მზღვეველს შორის **სამოგზაურო დაზღვევის პოლისის დამატებითი დაფარვის (დაზღვევის)** შესახებ.

- პირადი ქონების დაზღვევა
- მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობა
- იურიდიული მომსახურება

- მთარგმნელობითი მომსახურება
 - მოგზაურობის გაუქმება
 - მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტა
 - მოგზაურობის ქვეყანაში შესვლაზე უარი
- 2.2. პოლისით განისაზღვრება დაზღვეულის/დამზღვევის მიერ შერჩეული დამატებითი დაფარვა, დაფარვის ტერიტორიული ფარგლები და დაზღვევის მოქმედების პერიოდი.
- 2.3. პოლისი ძალაშია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ, პოლისში მითითებული სადაზღვევო პროდუქტით გათვალისწინებულ ქვეყნებში (გარდა მოგზაურობის გაუქმებისა) და დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.
- 2.4. დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ უცარი და მოულოდნელი მიზეზების ან შემთხვევების შედეგად დამდგარ ზარალზე და არ ივარება ის მიზეზები და შემთხვევები, რომელიც პოლისის შექმნის მომენტისათვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის.

3. სადაზღვევო ლიმიტი/სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, სადაზღვევო პრემია

- 3.1. სადაზღვევო ლიმიტი წარმოადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს პოლისის მოქმედების განმავლობაში მომხდარი ყველა სადაზღვევო შემთხვევისათვის; ლიმიტები და ქველიმიტები განისაზღვრება წინამდებარე პირობების საფუძველზე გაცემულ დამატებით პოლისში;
- 3.2. დამატებითი პოლისით განისაზღვრება სადაზღვევო პრემიისა და ფრანშიზის თანხის ოდენობა.
- 3.3. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი განსაზღვრულია დამატებითი პოლისით;
- 3.4. წინამდებარე პირობების საფუძველზე დამზღვევი ირჩევს შემდეგ სადაზღვევო პროგრამებს:

პროგრამა 1

დაფარვის დასახელება	ლიმიტი	ქველიმიტი	ფრანშიზა
იურიდიული მომსახურება	1 000.00 €/ \$	-	-
მთარგმნელობითი მომსახურება	1 000.00 €/ \$	-	-
პირადი ქონების დაზღვევა	1 000.00 €/ \$	ერთი საგნისთვის მაქსიმუმ 200,00 €/ \$	50.00 €/ \$

პროგრამა 2

დაფარვის დასახელება	ლიმიტი	ქველიმიტი	ფრანშიზა
იურიდიული მომსახურება	1 000.00 €/ \$	-	-
მთარგმნელობითი მომსახურება	1 000.00 €/ \$	-	-
მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობა	1 000.00 €/ \$	-	ზარალის 15%

პროგრამა 3

დაფარვის დასახელება	ლიმიტი	ქველიმიტი	ფრანშიზა
მოგზაურობის გაუქმება	500.00 €/ \$	-	ზარალის 10%
მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტა	400.00 €/ \$	-	ზარალის 10%

პროგრამა 4

დაფარვის დასახელება	ლიმიტი	ქველიმიტი	ფრანშიზა
მოგზაურობის ქვეყანაში შესვლაზე უარი	350.00 €/ \$	-	-

3.5. შერჩეული სადაზღვევო პროგრამა განსაზღვრულია პოლისით.

4. სადაზღვევო დაფარვა



4.1. პირადი ქონების დაზღვევა

- 4.1.1. ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის პოლისში მითითებულ დაფარვის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს შემენილი ნივთების მარცვის ან ყაჩაღობის შედეგად მიღებული ფინანსური დანაკარგის ანაზღაურებას. აღნიშნული მომსახურება ვრცელდება არანაკლებ 50 ევროს (ჯამური) ღირებულების ქონებაზე.
 - 4.1.2. პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში მზღვეველი ანაზღაურებს ნებისმიერი ერთი საგნისთვის მაქსიმუმ 200 ევროს, მაგრამ ჯამურად არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ლიმიტისა.
 - 4.1.3. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეულმა უნდა გააკეთოს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიის საინფორმაციო სამსახურში შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში და საქართველოში დაბრუნებიდან 1 კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი: ყაჩაღობის ან მარცვის შედეგად დაკარგული პირადი ქონების ჩამონათვალი, შექმნის თარიღისა და შენაძენის ღირებულების მითითებით; ყაჩაღობის ან მარცვის შედეგად დაკარგული ნივთის შექმნის დამადასტურებელი ორიგინალი ქვითარი; ყაჩაღობის ან მარცვის ფაქტთან დაკავშირებით პოლიციაში ან შესაბამის ორგანოში შეტანილი განცხადების ასლი; კომპეტენტური ორგანოს/ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი/დოკუმენტები შემთხვევის დადგომის, მიზეზებისა და გარემოებების შესახებ; პასპორტი და დაზღვევის პოლისი.
 - 4.1.4. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, დაზღვეულს მიყენებული ზარალი აღწარმოდა ამ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, დაზღვეული ვალდებულია დაუბრუნოს მზღვეველს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება, პასუხისმგებელი პირისგან ზარალის ანაზღაურების დღიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.
- თუ ზარალის ანაზღაურების პროცესში ცნობილი ხდება, რომ დაზღვეულმა განცდილი ზარალის აღწერისას მცდარი ინფორმაცია მიაწოდა მზღვეველს, რაც მიზნად ისახავდა არამართლო მიზნით სადაზღვევო ანაზღაურების მიღებას, არანაირი სადაზღვევო პრეტენზია, დაკავშირებული ამგვარ შემთხვევებთან, არ დაკმაყოფილდება.


4.2. მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობა

- 4.2.1. ითვალისწინებს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში მოგზაურობის დროს მოულოდნელი შემთხვევის დადგომის შედეგად მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუ ამ დროს ადგილი აქვს:
 - ა) მესამე პირის სხეულის დაზიანებას და/ან
 - ბ) მესამე პირის მატერიალური ქონების ფიზიკურ დაზიანებას.
- 4.2.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მესამე პირად ითვლება: ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მხარეს / დამზღვევის/დაზღვეულის თანამშრომელს, დასაქმებულს, ოჯახის წევრს, ნათესავს, მოგზაურობის სხვა მონაწილეს.
- 4.2.3. სადაზღვევო კომპანია თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან და არ ანაზღაურებს ზარალს თუ მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანი არის:
 - ა) სხეულის დაზიანება, რომელიც მიადგა დამზღვევის/დაზღვეულის თანამშრომელს, დასაქმებულს, ოჯახის წევრს, ნათესავს, მოგზაურობის სხვა მონაწილეს;
 - ბ) ზიანი, რომელიც მიადგა იმ ქონებას, რომელიც არის დამზღვევის/დაზღვეულის თანამშრომლის, დასაქმებულის, ოჯახის წევრის, ნათესავის, მოგზაურობის სხვა მონაწილის საკუთრებაში, მფლობელობაში, ასევე იმ ქონებას, რომელიც იმყოფება ყველა ზემოაღნიშნული პირის მზრუნველობის, მეურვეობის ან კონტროლის ქვეშ;
 - გ) სხეულის დაზიანება ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ცხოველების, საჭირო ხომალდის, საწყალოსნო ხომალდის, ველოსიპედის, ავტოტრანსპორტის, ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღის ფლობით, საკუთრებაში ყოფნით ან დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ან მისი სახელით გამოყენებით;
 - დ) სხეულის დაზიანება ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია მიწის ან შენობების ფლობასთან, საკუთრებაში ყოფნასთან ან მიწის თუ შენობის ფართის დაკავებასთან (გარდა მოგზაურობის დროს

- დროებითი განთავსების მიზნით საცხოვრებელი ფართით სარგებლობისა);
- ე) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია / დაკავშირებულია დაზღვეულის ან დაზღვეულის მიერ უფლებამოსილი პირის არაკეთილსინდისიერი, დანაშაულებრივ ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით / ქმედებასთან;
- ვ) განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანება ან ქონებისთვის მიყენებული ზიანი;
- ზ) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება, ეფუძნება ან უკავშირდება დაზღვეულის მიერ ამა თუ იმ ხელშეკრულების ძალით ნაკისრ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა რთედესაგ აღნიშნული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა დაზღვეულს ამგვარი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაშიც;
- თ) პრეტენზიები, რომლებთან დაკავშირებითაც დაზღვეული უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება ნებისმიერი სხვა დაზღვევის საფუძველზე;
- ი) ნებისმიერი ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია კომერციული ან პროფესიული საქმიანობის, ფიზიკური შრომის ან მომეტებული საფრთხის საქმიანობის განხორციელებით;
- კ) ნებისმიერი სახის სანქციების, ფინანსური გარანტიების, საურავების, ჯარიმების ან სხვა ნებისმიერი სახის სადამსჯელო ხასიათის გადასახდელების სახით წარდგენილი ზარალი;
- ლ) ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც წარმოიქმნება, ეფუძნება ან უკავშირდება დაავადებას, ავადმყოფობას ან სნეულებას, რომელიც დამზღვევის/დაზღვეულმა გადადო დაზარალებულს;
- მ) ავტომობილის მფლობელის მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა.

4.2.4. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:

- ა) შემთხვევის დადგომიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა აცნობოს კომპანიის საინფორმაციო სამსახურს შემთხვევის შესახებ, რომელიც გონივრული ვარაუდის ფარგლებში შეიძლება გახდეს დამზღვევისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე პრეტენზიის წარდგენის საფუძველი;
- ბ) შეატყობინოს შესაბამის კომპეტენტურ (სამართალდამცავ) ორგანოებს შემთხვევის შესახებ.
- გ) ზიანის ანაზღაურების თაობაზე მესამე პირის (დაზარალებულის) მიერ მოთხოვნის წარდგენიდან/ მზღვეველის წინასწარი თანხმობის საფუძველზე სათანადო წესით გაფორმებული შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით შეატყობინოს მზღვეველს და წარუდგინოს მას შემდეგი დოკუმენტაცია:
 - მესამე პირის მიერ წერილობით მოთხოვნა / შეთანხმება;
 - განაცხადი, სადაც მითითებულია შემთხვევის ადგილი, დრო, გარემოება და შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის დახასიათება;
 - დაზარალებულ პირთა და მოწმეების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - შესაბამისი კომპეტენტური (სამართალდამცავი) ორგანოების მიერ გაცემული შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დაზარალებული და ბრალეული პირის მითითებით);
 - ზარალის ოდენობის განმსაზღვრელი დოკუმენტები (ქვითრები / ხელშეკრულება / ზედნადები / საექსპერტო დასკვნა / ან სხვა);
 - მზღვეველი უფლებამოსილია საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვოს ასანაზღაურებლად საჭირო სხვა დოკუმენტაცია;
 - მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, იმ შემთხვევაში თუ მზღვეველის თანხმობით ზარალი ანაზღაურდა დამზღვევის/დაზღვეულის მიერ.
- ან
- კანონიერი ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც დაფიქსირებულია ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით, არაუგვიანეს გადაწყვეტილების (განჩინების) ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.



არავითარი ნებართვა, შეთანხმება, დაპირება, გადახდა ან ანაზღაურება არ უნდა განხორციელდეს მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც სურვილის შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნება დამზღვევის სახელით თავის თავზე აიღოს და განახორციელოს ნებისმიერი მოთხოვნისაგან დაცვა ან ზიანის ანაზღაურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი.

4.3. იურიდიული მომსახურება

- 4.3.1. ითვალისწინებს პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში მოგზაურობის დროს დაზღვეულის მიერ გაღებული იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დაკავშირებულს სადაზღვევო პერიოდში საზღვარგარეთ ყოფნისას ამ ხელშეკრულების 4.1. ან 4.2. მუხლებით გათვალისწინებული რისკების დადგომისას.
- 4.3.2. მომსახურების მიღებამდე აუცილებელია მზღვეველის წერილობითი თანხმობა იურიდიული მომსახურების ხარჯების დაფარვაზე.
- 4.3.3. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეული ვალდებულია გააკეთოს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიის საინფორმაციო სამსახურში შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო საქართველოში დაბრუნებიდან 1 კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს სადაზღვევო კომპანიაში ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტაცია: ქვითარი, სადაც მითითებული იქნება მის მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯები და შესაბამისად 4.3. ან 4.7. მუხლებით გათვალისწინებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო დოკუმენტაცია.

4.4. მთარგმნელობითი მომსახურება

- 4.4.1. ითვალისწინებს იმ დოკუმენტების თარგმნის ხარჯების ანაზღაურებას, რომლის გადახდაც დასჭირდა დაზღვეულს 4.1. ან 4.2. პუნქტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.
- 4.4.2. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეული ვალდებულია გააკეთოს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიის საინფორმაციო სამსახურში შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო საქართველოში დაბრუნებიდან 1 კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს: სადაზღვევო კომპანიაში შესაბამისი ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტაცია: ქვითარი, სადაც მითითებული იქნება მის მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯი; პასპორტი და დაზღვევის პოლისი.

4.5. მოგზაურობის გაუქმება

- 4.5.1. ითვალისწინებს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში მოგზაურობის დაგეგმვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი იძულებულია გააუქმოს მოგზაურობა და გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება დაბრუნებას.
- 4.5.2. რისკი ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან მოგზაურობის დაწყების თარიღამდე.
- 4.5.3. ამ დამატებითი დაფარვის შესაძენად დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია წარმოადგინოს ავიაბილეთი.
- 4.5.4. ამ ხელშეკრულება/პირობების მიზნებისათვის მოგზაურობის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე ჩაითვლება:
- 4.5.5. ა) ავიაბილეთის შეძენის ხარჯების ის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას; ბ) სასტუმროს / დაქირავებული ფართის ხარჯების ის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას;
- 4.5.6. მოგზაურობის გაუქმება გამოწვეული უნდა იყოს მხოლოდ უეცარი და მოულოდნელი შემდეგი მიზეზების ან შემთხვევების შედეგად:
 - ა) დაგეგმილი მოგზაურობის პერიოდში დაზღვეულის სასამართლოში მოწმის სახით ან სამართალდაცვითი ორგანოების მიერ დაკითხვაზე გამოცხადების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებით;
 - ბ) დაგეგმილი მოგზაურობის პერიოდში დაზღვეულის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევით;
 - გ) დაზღვეულის ან დაზღვეულის ოჯახის წევრის გარდაცვალებით;
 - დ) დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის მოულოდნელი შემთხვევის გამო მიღებული ტრავმა/სხეულისთვის მიყენებული ზიანი ან უეცარი და მოულოდნელი ავადმყოფობა, რაც არ არის გამოწვეული მანამდე არსებული (წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე)

ჯანმრთელობის მდგომარეობით და ხელს უშლის დაზღვეულს დაგეგმილი მოგზაურობის განხორციელებაში. ექიმმა წერილობით უნდა დაასაბუთოს ასეთი ტრავმის ან ავადმყოფობის გამო დაზღვეულის მიერ დაგეგმილი მოგზაურობის დაწყების შეუძლებლობა;

ე) დაზღვეულის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში საქართველოში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის ხანძრის, აფეთქების, წყალდიდობის ან ქარიშხლის შედეგად განადგურება/დაზიანება, რის შედეგადაც სახლი/ბინა გამგზავრების მომენტისათვის საცხოვრებლად გამოუსადეგარია.

ამასთან პოლისის გაცემის დროისათვის არ უნდა არსებობდეს საფუძველი გონივრული ვარაუდისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მიზეზი საფუძვლად დაედებოდა მოგზაურობის გაუქმებას.


4.5.7. წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ უეცარი და მოულოდნელი მიზეზების ან შემთხვევების შედეგად წარმოქმნილ ზარალზე. დაზღვევით არ იფარება მიზეზები ან შემთხვევები, რომელიც პოლისის შექმნის მომენტისათვის ცნობილია დაზღვეულისათვის ან მოსალოდნელია დაზღვეულის თვალთახედვით.

4.5.8. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია სადაზღვევო გარემოების დადგომიდან 1 კვირის განმავლობაში, მაგრამ მოგზაურობის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 დღისა გააკეთოს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიის საინფორმაციო სამსახურში და შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები (უცხოენოვანი დოკუმენტების შემთხვევაში – ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე ნათარგმნი):

- ა) შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების (მათი კომპეტენციის ფარგლებში) მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით) მიერ გაცემული მოგზაურობის გაუქმების მიზეზის დამადასტურებელი ცნობები/საბუთები: სასამართლოში გამოძახების (დაბარების) დამადასტურებელი დოკუმენტი (უწყება); ან კომისარიატში დაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი; ან გარდაცვალების მოწმობა, ფორმა 106; ან ფორმა 100; ან ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მასში მოთავსების, ყოფნის ხანგრძლივობის, გაწერის და ჩატარებული მკურნალობის შესახებ; ან ცნობა ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამომწვევი მიზეზის შესახებ (მიყენებული ზიანის მოცულობის მითითებით);
- ბ) მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი ქვითრები, ინვოისები ან ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან;
- გ) ბილეთები, სასტუმროს ჯავშანი ინვოისი/ანგარიშ ფაქტურები;
- დ) პირადობის მოწმობა, პასპორტი, ვიზა (არსებობის შემთხვევაში), ქორწინების მოწმობა (მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მოწმობა (შვილის შემთხვევაში);
- ე) ტურისტული საგზაური ან ხელშეკრულება ტურისტულ ფირმასთან (არსებობის შემთხვევაში)
- ვ) ტურისტული ფირმის, სასტუმროს ან გადამზიდვის მიერ თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებული საბუთები (დეტალური განშლით);
- ზ) იმ შემთხვევაში თუ დაფარული ხარჯების საფასური გაღებული აქვს დაზღვეულს, დამზღვევისთვის მინიჭებული შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება დაზღვევის განხორციელებაზე და სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე.
- თ) პასპორტი და დაზღვევის პოლისი

4.6. მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტა

- 4.6.1. ითვალისწინებს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოში დასაბრუნებლად საჭირო დამატებითი ხარჯების ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი იძულებულია ვადაზე ადრე შეწყვიტოს მოგზაურობა.
- 4.6.2. დამატებითი დაფარვა მოქმედებს ხანმოკლე (90 დღემდე) მოგზაურობის შემთხვევაში
- 4.6.3. ამ დამატებითი დაფარვის შესაძენად დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია წარმოადგინოს ავიაბილეთი;
- 4.6.4. ამ ხელშეკრულება/პირობების მიზნებისათვის მოგზაურობის შეწყვეტასთან დაკავშირებულ ხარჯებზე ჩაითვლება:
 - ა) ავიაბილეთის გამოცვლის ან ერთი გზა ეკონომიკლასის ბილეთების შეძენის ხარჯებს შორის უმცირესი;



- ბ) სასტუმროს / დაქირავებული ფართის ხარჯების გამოუყენებელი ნაწილის ის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას;
- 4.6.5. მოგზაურობის შეწყვეტა გამოწვეული უნდა იყოს მხოლოდ უეცარი და მოულოდნელი შემდეგი მიზეზების ან შემთხვევების შედეგად:
- ა) მოგზაურობის პერიოდში დაზღვეულის სასამართლოში მოწმის სახით ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკითხვაზე გამოცხადების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღება;
 - ბ) მოგზაურობის პერიოდში დაზღვეულის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;
 - გ) დაზღვეულის ან დაზღვეულის ოჯახის წევრის გარდაცვალება;
 - დ) დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის მოულოდნელი შემთხვევის გამო მიღებული ტრავმა/სხეულისთვის მიყენებული ზიანი ან უეცარი და მოულოდნელი ავადმყოფობა, რაც არ არის გამოწვეული მანამდე არსებული (წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე) ჯანმრთელობის მდგომარეობით და ხელს უშლის დაზღვეულს მოგზაურობის გაგრძელებაში. ექიმმა წერილობით უნდა დაასაბუთოს ასეთი ტრავმის ან ავადმყოფობის ფაქტი;
 - ე) დაზღვეულის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში საქართველოში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის ხანძრის, აფეთქების, წყალდიდობის ან ქარიშხლის შედეგად განადგურება/დაზიანება, რის შედეგადაც სახლი/ბინა დაზღვეულის მოგზაურობის მომენტისათვის საცხოვრებლად გამოუსადეგარი.
- ამასთან პოლისის გაცემის დროისათვის არ უნდა არსებობდეს საფუძველი გონივრული ვარაუდისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მიზეზი საფუძველად დაედებოდა მოგზაურობის შეწყვეტას.
- 4.6.6. წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ უეცარი და მოულოდნელი მიზეზების ან შემთხვევების შედეგად წარმოქმნილ ზარალზე. დაზღვევით არ იფარება მიზეზები ან შემთხვევები, რომელიც პოლისის შექმნის მომენტისათვის ცნობილია დაზღვეულისათვის ან მოსალოდნელია დაზღვეულის თვალთახედვით.
- 4.6.7. სადაზღვევო ანაზღაურებისთვის, დაზღვეულმა/დამზღვევმა შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს კომპანიის საინფორმაციო სამსახურს შემთხვევის შესახებ.
- 4.6.8. დამზღვევი/დაზღვეული ვადებულია საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი:
- ა) შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების (მათი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით) მიერ გაცემული მოგზაურობის შეწყვეტის მიზეზის დამადასტურებელი ცნობები/საბუთები: სასამართლოში გამოძახების (დაბარების) დამადასტურებელი დოკუმენტი (უწყება); ან კომისარიატში დაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი; ან გარდაცვალების მოწმობა, ფორმა 106; ან ფორმა 100; ან ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მასში მოთავსების, ყოფნის ხანგრძლივობის, გაწერის და ჩატარებული მკურნალობის შესახებ; ან ცნობა ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამოწვევი მიზეზის შესახებ (მიყენებული ზიანის მოცულობის მითითებით); ან
 - ბ) მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი ქვითრები, ინვოისები ან ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან;
 - გ) ბილეთები, სასტუმროს ჯავშანი ინვოისი/ანგარიშ ფაქტურები;
 - დ) პირადობის მოწმობა, პასპორტი, ვიზა (არსებობის შემთხვევაში), ქორწინების მოწმობა (მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მოწმობა (შვილის შემთხვევაში);
 - ე) ტურისტული საგზური ან ხელშეკრულება ტურისტულ ფირმასთან (არსებობის შემთხვევაში)
 - ვ) ტურისტული ფირმის, სასტუმროს ან გადამზიდვის მიერ თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებული საბუთები (დეტალური განშლით);
 - ზ) იმ შემთხვევაში თუ დაფარული ხარჯების საფასური გაღებული აქვს დაზღვეულს, დამზღვევისთვის მინიჭებული შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება დაზღვევის განხორციელებაზე და სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე.

4.7. მოგზაურობის ქვეყანაში შესვლაზე უარი

- 4.7.1. ითვალისწინებს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში მოგზაურობის დროს საქართველოში დასაბრუნებლად

- დამატებითი ხარჯების ანაზღაურებას, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი/დაზღვეული იძულებულია შეწყვიტოს მოგზაურობა უცხო ქვეყნის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლისგან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მოგზაურობით გათვალისწინებულ პირველ შესვლაზე უარის მიღების გამო.
- 4.7.2. ამ ხელშეკრულება/პირობების მიზნებისათვის უცხო ქვეყნებში შესვლაზე უარის გამო მოგზაურობის შეწყვეტასთან დაკავშირებულ ხარჯებად ჩაითვლება:
- ა) ავიაბილეთის გამოცვლის ან ეკონომ-კლასის ბილეთების შექმნის ხარჯს შორის უმცირესი;
 - ბ) სასტუმროს / დაქირავებული ფართის ხარჯების ის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას ან რაიმე სხვა სახით კომპენსირებას;
- 4.7.3. სადაზღვევო კომპანია თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან და არ ანაზღაურებს ზარალს თუ მოგზაურობის შეწყვეტა გამოწვეულია:
- ა) დაზღვეული არის იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას ან შიდა უსაფრთხოებას;
 - ბ) დაზღვეული არის იმ პირთა სიაში, რომლებსაც აკრძალული აქვთ უცხო ქვეყნიდან მინიმუმ ერთ ქვეყანაში შესვლა;
 - გ) დაზღვეული არის ნასამართლევი ნებისმიერ უცხო ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით;
 - დ) დაზღვეული არის მოგზაურობის ქვეყნიდან გაძევების (დეპორტაცია) ან უკან დაბრუნების (რეადმისია) შესახებ გადაწყვეტილების ობიექტი;
 - ე) არსებობს დანაშაულებრივ საქმიანობაში დაზღვეულის მონაწილეობის, ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები;
 - ვ) დაზღვეულმა დაარღვია ან არღვევს მოგზაურობის ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის ვადებს;
 - ზ) დაზღვეულმა თავისი ნებით გადაწყვიტა საზღვრიდან უკან გამობრუნება ნებისმიერი სხვა მიზეზით, გარდა დაზღვეული რისკებისა;
 - თ) დაზღვეული არღვევს ან/და არ ითვალისწინებს საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხო ქვეყანაში შესვლის მომენტისათვის მოქმედ რეკომენდაციებს, მოთხოვნებს, წესებს;
- 4.7.4. სადაზღვევო ანაზღაურებისთვის, დაზღვეულმა/დამზღვევმა შემთხვევის დადგომიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა აცნობოს კომპანიის საინფორმაციო სამსახურს შემთხვევის შესახებ.
- 4.7.5. დამზღვევმა უნდა მიიღოს ყველა შესაძლო გონივრული ზომა ზარალის შეზღუდვით გაზრდის შეწყვეტისათვის, მისი ოდენობის შემცირების და გაწეული ხარჯების დაბრუნების მიზნით.
- 4.7.6. დამზღვევი/დაზღვეული ვადებულია საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა წარმოადგინოს ნოტარიულად დამტკიცებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი შემდეგი დოკუმენტები: შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოების (მათი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით) მიერ გაცემული მოგზაურობის გაუქმების მიზეზის დამადასტურებელი ცნობები/ საბუთები: უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის წერილი; მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი ქვითრები, ინვოისები ან ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან; ბილეთები, სასტუმროს ჯავშანი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურები; პირადობის მოწმობა, პასპორტი, ვიზა (არსებობის შემთხვევაში); ტურისტული საგზური ან ხელშეკრულება ტურისტულ ფირმასთან (არსებობის შემთხვევაში); ტურისტული ფირმის, სასტუმროს ან გადამზიდვის მიერ თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებული საბუთები (დეტალური განშლით); იმ შემთხვევაში თუ დაფარული ხარჯების საფასური გაღებული აქვს დაზღვეულს, დამზღვევისთვის მინიჭებული შესაბამისი თანხმობა/უფლებამოსილება დაზღვევის განხორციელებაზე და სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე.
- 4.7.7. რისკი არ ითვალისწინებს ისრაელის საზღვარზე შესვლაზე უარს.
- 4.7.8. მზღვევლი უფლებამოსილია საჭიროებისგან გამომდინარე მოითხოვოს ასანაზღაურებლად საჭირო სხვა დოკუმენტაცია.

5. სერთო გამონაკლისები

- 5.1. სხვა რისკები და შემთხვევები, გარდა ზემოთ აღნიშნული დაზღვეული რისკებისა;
- 5.2. სამოგზაურო დაზღვევის პოლისით განსაზღვრული გამონაკლისები;

- 5.3. ქრონიკული დაავადებებით, დაზღვევამდე არსებული დაავადებებით/სხეულის დაზიანებით ან მათი გამოწვევებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევა;
- 5.4. მზღვეველის დასტურის/მზღვეველის ცხელ ხაზზე შეტყობინების განხორციელების გარეშე გაწეული ხარჯების ანაზღაურება;
- 5.5. სამოქალაქო ან სხვა სახელმწიფოსთან ომის (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა) აჯანყების, დემონსტრაციების, ტერორისტული აქტების ან საბოტაჟის, არეულობის ან მღელვარების დროს მომხდარი შემთხვევებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება;
- 5.6. რადიკალური წყაროს ზემოქმედებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
- 5.7. პანდემიებით, ეპიდემიებით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
- 5.8. ზიანი გამოწვეული ალკოჰოლური ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას მიღებული დაზიანებებით, ავადმყოფობით, ასევე ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებული წამლების მომწამლავი ეფექტით;
- 5.9. უბეში გაუფრთხილებლობით, განზრახ ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებისას (დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის შედეგად) მიღებული დაზიანებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება;
- 5.10. პროფესიულ ან/და სამოყვარულო სპორტში, ალპინიზმში, კლდეზე ცოცვაში, დელტაპლანით და პარაშუტით ხტომაში, ნებისმიერი სახის რბოლაში, წყალქვეშ ყვინთვაში, ასევე სხვა სახეობებში ან ღონისძიებებში, რომლებიც შეიცავს დაშავების მომეტებულ რისკს მონაწილეობის მიღებით;
- 5.11. არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობით / ქრონიკული დაავადებით გამოწვეული ზარალი;
- 5.12. დაზღვეულის მიერ ვიზის ვერ (არ) მიღებით გამოწვეული შემთხვევა;
- 5.13. სადაზღვევო შემთხვევები, როდესაც დაზღვეული ვერ ახერხებს განცხადებული პრეტენზიის მართებულობის დამტკიცებას, ან დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულად.

6. სადაზღვევო ანაზღაურება

- 6.1. სავალდებულო პირობაა, რომ პოლისის გაცემის დროს დაზღვეული პირი იმყოფებოდეს საქართველოში.
- 6.2. მოვლენის დადგომისას, რომელიც ატარებს სადაზღვევო შემთხვევის ნიშნებს, დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია შემთხვევის დადგომიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს სატელეფონო ზარით, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (+995 32) 2 640 640 და დააზუსტოს შემდეგი ინფორმაცია: დამზღვევის/დაზღვეულის პირადი ნომერი, პოლისის ნომერი, დამზღვევის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.
- 6.3. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, თუ ამ პირობებით მითითებული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია ზარალის გარემოებების დადგენა ან/და ზიანის ოდენობის ზუსტად გაანგარიშება.
- 6.4. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა, სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით დაზღვეულის საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
- 6.5. სადაზღვევო ანაზღაურების თანხა ეძლევა მხოლოდ მოსარგებლეს. გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს:
 - ა) ქმედუნარო, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე, და მხარდაჭერის მიღები პირი, რომლის მომსახურების თანხაც ეძლევა მის კანონიერ წარმომადგენელს.
- 6.6. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე მოტივირებული წერილობითი უარის გაცემა ხდება დამზღვევის მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში
- 6.7. დამზღვევის/დაზღვეულმა უნდა მიიღოს ყველა შესაძლო გონივრული ზომა ზარალის შემდგომი გავრცობის შეწყვეტისათვის, მისი ოდენობის შემცირების და გაწეული ხარჯების დაბრუნების მიზნით.
- 6.8. თუ განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ რაიმე ფორმით დაკავშირებულია თაღლითობასთან, გამოყენებულია ყალბი (არასწორი) ინფორმაცია და დოკუმენტები, ან დაზღვეულმა ან მისი სახელით მოქმედმა პირმა გამოიყენა თაღლითური ხერხი ან საშუალება სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად, მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს.

- 6.9. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღმრულია სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.
- 6.10. მხარეებს შუძლიათ მოითხოვონ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევი მიზეზების უფრო დეტალურად დასადგენად. დამოუკიდებელი ექსპერტიზა ხორციელდება ექსპერტის ან საექსპერტო კომისიის მიერ, რომელიც ინიშნება მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების გადახდა ხდება:
 - ა) მზღვეველის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით;
 - ბ) დამზღვევის/დაზღვეულის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება დამზღვევის/დაზღვეულის სურვილითა და ინიციატივით;

7. პოლისის მოქმედების შეწყვეტა

- 7.1. პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ მისი გაუქმება და პრემიის ან მისი ნაწილის დაბრუნება არ მოხდება.
- 7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ვიზის ვერ (არ) მიღების გამო, ვერ გაემგზავრება პოლისში მითითებულ ქვეყნებში და ამის შესახებ სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე წერილობით აცნობებს მზღვეველს, დამზღვევის/დაზღვეულს დაუბრუნდება პრემია მზღვეველის მიერ გაწეული ხარჯების (1 ლარი) გამოკლებით. აღნიშნული მიზნისათვის დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს დაზღვეულის პასპორტი, სამოგზაურო დაზღვევის პოლისი და კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით დამატებით საჭირო დოკუმენტაცია. მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში პრემიის უკან დაბრუნება არ მოხდება.

8. მხარეთა შორის უთანხმოებათა გადაწყვეტა

- 8.1. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.alpha.ge განთავსებული „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვისა და რეგულირების პროცედურის“ შესაბამისად. მზღვევის/დაზღვეულის პრეტენზია წარედგინება მზღვეველის მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:
 - 8.2. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული განცხადება/უკმაყოფილება, როგორც წესი, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით, ან სხვა არასტანდარტული განცხადების ფორმით, მომხმარებლის საკომუნიკაციო საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა) მითითებით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. N16; პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
 - 8.3. ელექტრონული ფორმით გამოხატული განცხადება/უკმაყოფილება, როგორც წესი, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – ask@alpha.ge. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
 - 8.4. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge.
 - 8.5. დამზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10.
 - 8.6. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით.
 - 8.7. თითოეული „მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სუბროგაციის უფლება

- 9.1. "სადაზღვევო ანაზღაურების" გაცემის შემდეგ "მზღვეველზე" ავტომატურად გადადის სუბროგაციული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც "დამზღვევს" ("დაზღვეულს", "მოსარგებლეს") გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.
- 9.2. "დამზღვევი" ("დაზღვეული", "მოსარგებლე") ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს "მზღვეველს" ყველა მასთან არსებული დოკუმენტი ან/და მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ხელი არ შეუშალოს მზღვეველს ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში.
- 9.3. "დამზღვევის" ("დაზღვეულის", "მოსარგებლის") მიერ წინამდებარე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში "მზღვეველს" უფლება აქვს უარი თქვას "სადაზღვევო ანაზღაურების" გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

10. კონფიდენციალურობა

- 10.1. „მხარეები“ ვალდებული არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

11. დასკვნითი დებულებები

- 11.1. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებიდან.
- 11.2. დამზღვევი თანახმა ან ადასტურებს, რომ დაზღვეულისგან მოპოვებული აქვს წერილობითი თანხმობა, რომლის საფუძველზეც მზღვეველს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით განახორციელოს დაზღვეულის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის, მათ შორის ამავე კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება თავისი შეხედულებისამებრ და საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე პუნქტში მითითებულ მონაცემთა გადაცემა როგორც საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებისთვის/ორგანიზაციებისთვის; მოიპოვოს დაზღვეულის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი ჰქონდეს წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შემთხვევასთან ან/და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებიდან, საჯარო რეესტრიდან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან და სამართალდამცავი ორგანოებიდან. დამზღვევი ვალდებულია დაზღვეულის წერილობითი თანხმობა მიაწოდოს მზღვეველს მისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 (ერთი) თვისა.
- 11.3. წინამდებარე პირობებში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია განხორციელდეს „მხარეთა“ მიერ გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 11.4. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი წინამდებარე პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 11.5. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე დებულება გაბათილდება, ეს მთელი ხელშეკრულების გაბათილებას არ გამოიწვევს.

• დაზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის შექმნა უნდა განხორციელდეს დაზღვევის ძალაში შესვლამდე არანაკლებ 24 საათით ადრე; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზღვევა ძალაში შევა სადაზღვევო პოლისის შექმნიდან 24 საათის გასვლის შემდგომ.

• ნებისმიერი საკითხის დაზუსტების/გარკვევის მიზნით გთხოვთ დაუკავშირდეთ სადაზღვევო კომპანია ალფას საინფორმაციო სამსახურს – 032 2 640 640;

• წინამდებარე ვებგვერდის საშუალებით სადაზღვევო კომპანია ალფას სამოგზაურო დაზღვევის პოლისის შექმნის შემთხვევაში, თქვენ ავტომატურად ეთანხმებით წინამდებარე ჯეოტურის დაზღვევის პირობებს და თქვენი პოლისი რეგულირდება ამ პირობების შესაბამისად; წინამდებარე პირობების/ხელშეკრულების ვებგვერდზე განთავსების თარიღია 25.12.2018.

წინამდებარე პირობები წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ტექსტებს შორის უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

